ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. "ჯინო პარკი" (ტელ: 599 88 33 88)

საფუძველი: 31.10.13 წ. 12/13304400-16

მისამართი: თბილისის ზღვის მიმდებარედ

საკადასტრო კოდი: №01/12/21/001/146 №01/12/21/001/147

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება: 06.02.12 წ. №01/274

მშენებლობის სანებართვო მოწმობა: 06.02.12 წ. №6/273-1

ფუნქციური დანიშნულება: გამაჯანსაღებელ-დასასვენებელი კომპლექსი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (08.01.14) დადგინდა:

<u>ბლოკი E:</u>

ფასადებზე ღიობების კონფიგურაცია, ადგილმდებარეობა რაოდენობა არ ემთხვევა საპროექტოს, შეცვლილია მათი ნახატი.

წინა ფასადზე ერთ ადგილას გაუქმებულია ორფრთიანი კარი.

გვერდით ფასადის მხარეს კედლებს შორის დამატებით შექმინილია ფართი.

უკანა მხარეს შეცვლილია ოვალური ვიტრაჟი და აღნიშნული ვიტრაჟი გადაწეულია წინ, რის გამოც გაზრდილია ფართი.

წინა და გვერდით ფასადების მხარეს დამატებით მოწყობილია ხის კონსტრუქცია, რომელიც გადახურული და შემინულია და დამატებულია ფართი.

შენობის შიდა სივრცეში დამატებულია სვეტები (ზოგიერთ მონაკვეთში ნახაზზე არ არის ნაჩვენები სვეტები). ერთ ადგილას გაუქმებულია საფეხურები და პანდუსი. დამატებულია სამზარეულოს ტექნიკური ლიფტი.

მეორე სართულზე (უკანა მხარეს) ორ ადგილას ვიტრაჟში მოწყობილია კარი. აღნიშნულ სართულზე დამატებით შექმინილია ფართი 150.0 მ^2 და მის წინ მოწყობილია მინის გადახურვა.

დამატებულია სახურავზე ამოსასვლელი სივრცე და გამწოვები. შეცვლილია სახურავის გადახურვები. დამატებულია წყალმიმღები მილები.

<u>ბლოკი F:</u>

ფასადებზე ღიობების კონფიგურაცია, ადგილმდებარეობა რაოდენობა არ ემთხვევა საპროექტოს, შეცვლილია მათი ნახატი. ფასადებზე შეცვლილია შენობის ძირში მოწყობილი მოპირკეთება.

წინა ფასადზე დამატებულია სახურავზე ამოსასვლელი სივრცე, არ არის მოწყობილი პირამიდის ფორმის მინის გადახურვა, დამატებულია გამწოვები.

უკანა მხარეს შეცვლილია შენობის კონფიგურაცია და დამატებულია ფრამუგები.

გვერდით მხარეს დამატებით მოწყობილია კარი.

პირველი სართულის ქვეშ ერთ ადგილას დამატებით მოწყობილია სარდაფი 15.0 მ^2 და კიბე. დამატებულია წყალმიმღები მილები.

ბლოკი A;

წინა ფასადზე: ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნახატი. შესასვლელის თავზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრა. ფასადზე დამატებულია წყალშემკრები მილები. გადახურვის კეხის ქვეშ დამატებით მოწყობილია ხის ირიბანები. პარაპეტზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. ფასადზე შეცვლილია ორი ფანჯრის ნახატი. ფანჯრის გვერდზე დამატებით მოწყობილია საჰაერო. შენობის ძირში შეცვლილია ქვით მოპირკეტების ნახატი. შესასვლელში ვიტრაჟის გარშემო დამატებით მოწყობილია ქვით მოპირკეთება. ფასადზე ლითონის სვეტებზე მოწყობილია დეკორატიული შეფუთვა.

გვერდით ფასადზე(შენობის მარცხენა მხარეს): შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტები და ნახატი. შეცვლილია ქვით მოპირკეთების ნახატი. კედლის სიგრძის გაზრდით შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. შესასვლელის თავზე გადახურვის ქვეშ შეცვლილია ლითონის კონსტრუქციული ელემენტების ნახატი.

გვერდით ფასადზე(შენობის მარჯვენა მხარეს): ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნახატი და დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. კედლის სიგრძის გაზრდის ხარჯზე შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე.

უკანა ფასადზე: შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნახატი და მონაცვლებული აქვთ ადგილი. პარაპეტზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

სახურავზე გაზრდილია ტექნიკური სათავსოს სიგანე 1.0 მ-ით, რითაც გაზრდილია მისი ფართი 8.0 მ^2-ით. სახურავზე შეცვლილია ზენიტური ვიტრაჟების გაბარიტები და კონფიგურაცია. შესასვლელის თავზე გაზრდილია მსუბუქი კონსტრუქციით გადახურვის გაბარიტები. სახურავზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილები.

შეცვლილია ოვალური ვიტრაჟი, გადაწეულია წინ და გადახურულია, რითაც გაზრდილია შენობის ფართი. ვიტრაჟებს შორის დამატებით მოწყობილია სვეტები. წინა ფასადის მხარეს ვიტრაჟებს და კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილი და მოწყობილია წრიული ფორმის კოლონების პირზე, რითაც შემცირებულია შენობის ფართი.

ბლოკი B;

შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ადგილმდებარეობა და რაოდენობა. ფასადების მოპირკეთება არ არის ასახული პროექტში. გვერდითა ფასადზე არ არის მოწყობილი კიბის უჯრედი. უკანა ფასადის მხრიდან ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი, შეცვლილია კედლის ფორმა და მიშენებულია ფართი. წინა ფასადის მხრიდან A ბლოკის მხარეს შეცვლილია კედლის ფორმა. არ არის მოწყობილი სახურავზე ასასვლელი კიბე. სახურავზე დამატებულია გაყვანილობა და დანადგარები.

პროექტის ხარვეზი: გეგმის და ფასადის ნახაზები არ ემთხვევა ერთმანეთს.

BS-01 ძირითადი შენობის კომპლექსი

ფასადებზე შეცვლილია კედლების მოპირკეთება და არ არის მოწყობილი ხით მპირკეთება. დამატებულია ვიტრაჟები და ფანჯარა. შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი და ფორმა. შეცვლილია გადახურვების ფორმა, გაბარიტები და მასალა. დამატებულია კარის და ფანჯრის ღიობი, ზოგიერთ ადგილას კი გაუქმებულია.

გაზრდილია შენობის გაბარიტი სიგრძეში და ფართი მომატებულია 30 კვ.მ-ით. შენობის შიგნით დამატებულია სარდაფი ფართით 35 კვ.მ სიმაღლე 2.30მ, ასევე დამატებულია აღნიშნულ სივრცეში ჩასასვლელი კიბე. დამატებულია დონეები.

BS-02 ენერგოცენტრი

ფასადებზე შეცვლილია კედლების მოპირკეთება. შეცვლილია კარ-ფანჯრების მოწყობა და გაბარიტები. შეცვლილია მოჯირის ნახატი. +2.095 ნიშნულზე დამატებულია ხის კონსტრუქციები და გადახურვა.

შენობის შიგნით შეცვლილია მონოლითური კედლების ფორმა და აღნიშნულ კედლებში მოწყობილია ღიობები. გარე მონოლითურ კედლებში დამატებულია ხვრელები, საკომუნიკაციო მილებისთვის.

შენობის გარეთ არ არის მოწყობილი პანდუსი, აღნიშნული პანდუსის გვერდით დამატებულია კედელი.

„BS-04" საბავშვო აუზი: ბავშვთა აუზის საფეხურების მდებარეობა და რაოდენობა შეცვლილია. ამავე აუზში მოწყობილია ბავშვთა სასრიალო კონსტრუქცია.

„BS-05" ტალღოვანი აუზი: ტალღოვანი აუზის გვერდითი დაბალი კედლების ფორმა და გაბარიტი შეცვლილია. აღნიშნული კედლები ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია და მოწყობილია მინის მოაჯირები.

ტალღოვანი აუზის უკან მდებარე ფართში ჩამავალი კიბის საფეხურების რაოდენობა გაზრდილია. ამავე კიბესთან ღიობების გაბარიტი შეცვლილია.

-2.10 ნიშნულზე მონოლითურ კედელში კარის მდებარეობა შეცვლილია და დამატებით მოწყობილია ღიობები. ამავე კართან -2.58 ნიშნულზე საფეხურები გაუქმებულია.

„BS-06" სველი ბარი სარელაქსაციო ბასეინთან: აუზის კონფიგურაცია, საფეხურების რაოდენობა და სიღრმე შეცვლილია. აუზთან მდებარე შენობის გაბარიტი გაზრდილია, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი. შეცვლილია დეკორატიული მოფირკეთების ნახატი და გაბარიტი.

„REZ B-B" შეცვლილია ღიობის გაბარიტი და ვიტრაჟის ნაცვლად შეფუთულია მსუბუქად (თაბაშირ-მუყაოს ფილით). ამავე ვიტრაჟის მიმდებარედ მოწყობილია ღიობი, რომელშიც მოწყობილია კიბე. +3.10 ნიშნულზე სასინათლო გადახურვის მდებარეობა, კონფიგურაცია და გაბარიტი შეცვლილია.

±0.00 ნიშნულზე შეცვლილია შიდა კიბეების საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია ნიშნული და მოწყობილია კოლონები, რიგელებით.

„BS-07" დასვენება და ადრენალინი „Big-Bean" (მდინარე მარა) მოძრავი წყლის აუზი: აუზის საფეხურების რაოდენობა და ლითონის მოსასვენებელი სკამის კონსრუქციის სიგრძე გაზრდილია.

SO-13 საცურაო აუზის გვერდით ტრიბუნა; SO-14 საცურაო აუზი

საცურაო აუზს, ტრიბუნას და სამაშველო პოსტს მონაცვლებული აქვს ადგილი.

BS-15 ნელი მოძრავი მდინარე ლაგუნით და მცირე თასებით

მდინარეში ჩასასვლელ კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი 30 სმ-ით. ერთ მონაკვეთში სეცვლილია კედლის ფორმა. კედლის ძირში გაზრდილია საკომუნიკაციო ღიობის გაბარიტი. შეცვლილია ხიდების ფორმა და მონაცვლებული აქვსთ ადგილები.

დამატებულია გემის ფორმის ნაგებობა და ხიდი.

შენობა ნაგებობა BS-10

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატი. წინა ფასადზე შემცირებულია 1 კარის სიგანე. შენობის მარცხენა ბოლოში, დახრილ სვეტებზე დამატებულია ხის დეტალები. სახურავის გვერდებზე არ ფიქსირდება ხის დეტალები. სახურავზე შესაფუთია სამერცხლეები და მოწყობილია აიორგამწოვი მილები. ფასადების მოპირკეთება არ შეესაბამება საპროექტოს.

„SO-17" გარე სლაიდები: შეცვლილია სასრიალოების მდებარეობა, ლითონის კონსტრუქციის ნახატი და კიბის კონფიგურაცია.

შენობა ნაგებობა BS-18

„1-5" ფასადზე: +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ფრამუგების და „3ხ-4" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. „4-5" მონაკვეთში გაუქმებული კარები. II სართულზე აღნიშნულ მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგის მდებარეობა, ხოლო „1-2" მონაკვეთში ფრანგული აივნის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა და ფრამუგა.

„5-1" ფასადზე: I სართულზე „5-3a" მონაკვეთში მიშენებით დამატებით შექმნილია შიდა ფართი და „4-3a" მონაკვეთში გაუქმებულია გარე კიბე. „3ა-2" მონაკვეთში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი, ხოლო „2-1" მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი, ადგილი აქვთ მონაცვლებული ფრამუგებს და კარს, ასევე შეცვლილია მათი ნახატი. რრ სართულზე „4-3a" მონაკევთში ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ფრამუგა.

ფასადებზე შეცვლილია წყალშემკრები მილების მდებარეობა. გაუქმებულია ფასადის მოპირკეთების დეკორატიული დეტალები, ხოლო ცოკოლი ბუნებრივის ნაცვლად მოპირკეთებულია ხელოვნური ქვით. შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია და შეცვლილია საზენიტო ფანჯრების რაოდენობა და მდებარეობა. „1-1" ღერძთან ფიქსირდება აირგამწოვი მილები.

„A-F" ფასადის მხარეს მიშენებულია BS-26 შენობა ნაგებობა, რის გამოც ფასადზე არ არის მოწყობილი ფანჯრის და ფრამუგის ღიობები, ასევე დეკორატიული ელემენტები. „E-F" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფრამუგა.

შენობა ნაგებობა BS-26

„1-2" ფასადზე: შეცვლილია კარის ნახატი და მონაცვლებული აქვს ადგილი. შეცვლილია 1 ფრამუგის ღიობის გაბარიტი და მასზე მოწყობილია ფალუზი, ხოლო მეორე ღიობი შევსებულია მსუბუქი სამშენებლო მასალით.

„2-1" ფასადზე: შეცვლილია ფრამუგების გაბარიტები და მდებარეობები. „1-1" ღერძის მხარეს ერთ-ერთ ღიობზე მოწყობილია ჟალუზი, ხოლო მეორე ღიობი შევსებულია მსუბუქი სამშენებლო მასალით.

გვერდითა ფასადის მხარეს მოწყობილია 2 ღიობი, რომელთაგან ერთზე მოწყობილია ჟალუზი, ხოლო მეორე შევსებულია მსუბუქი სამშენებლო მასალით.

ფასადებზე ცოკოლი ბუნებრივი ქვის ნაცვლად მოპირკეთებულია ხელოვნური ქვით. შეცვლილია წყალშემკრები მილების მდებარეობა და შეფუთულია სახურავის გვერდები. გაზრდილია კეხის სიმაღლე 0.6 მ-ით.

SO -11

შეცვლილია მოპირკეთების მასალა.

light tower

+0.00 ნიშნულზე „1.13" კორიდორის ნაწილი არ არის მოწყობილი რომელიც უნდა დაკავშირებოდა მიმდებარედ შენობას რის გამოც გაუქმებულია ფართი 30მ^2. "1.11" სივრცეში ნაწილობრივ გაუქმებულია ვიტრაჟები. 1.09 სივრცეში შენობის შიგნით ნაცვლად წრიულისა მოწყობილია ოთხკუთხა კოლონები, აღნიშნულ ფართში მოწყობილია ლუქები და შეცვლილია გადახურვის ფილაში მოწყობილი ღიობის კონფიგურაცია. 1.12 სივრცე გაუქმბულია რის გამოც შემცირებულია ფართი 3მ^2-ით. 1.01 სივრცის თავზე გაუქმებულია დაშენება.

+4.00 ნიშნულზე ტერასაზე დამატებით მოწყობილია 10მ^2 ფართი,

+6.00 ნიშნულზე შეცვლილია 3.01 სივრცეში კედლების კონფიგურაცია. ფაუქმებულია კარი და მოწყობილია ფანჯარა.

+24.75 ნიშნულზე 4.01 სივრცეში წრიულის ნაცვლად მოწყობილია ოთხკუთხა სვეტები. შემცირებულია სართულის სიმაღლე 1მ-ით.

ფასადებზე შეცვლილია მოპირკეთების ფორმა და ნახატი, კედლები ნაცვლად დახრილისა მოწყობილია სწორი, შეცვლილია ფანჯრების რაოდენობა და გაბარიტი, +21.00 ნიშნულის ზევით ფანჯრების ნახატი არ შეესაბამება საპროექტოს შეცვლილია მოაჯირების ნახატი და გადახურვის ფორმა. აღნიშნული ნიშნულის ქვეშ ძირი ნაცვად კუთხოვანისა გასწორებულია.

ტერიტორია შეცვლილი და დასასრულებელია. დამატებით მოწყობილია მავთულბადის ღობე, შენობა-ნაგებობები, ხის კონსტრუქციები და მცირე ზომის ატრაქციონები. სამაშველო საგუშაგოების მდებარეობა შეცვლილია. მოედნების და ტრიბუნების რაოდენობა და მდებარეობა შეცვლილია. ტერიტორიაზე შესასვლელში მოწყობილია კონსტრუქცია მცირე ზომის ნაგებობებით. სასტუმრო კომპლექსი და მთავარი შესასვლელი არ არის აშენებული.

ტერიტორიის შემომსაზღვრელი მავთულღობე და სანაპიროსთან მდებარე კიბე ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ფართობი პროექტში ნაჩვენები 221393.00მ^2-ის ნაცვლად რეგისტრირებულია 215000მ^2.



გ.გეგელაშვილი

ვ.ამისულაშვილი

ი.ჩიტაძე

კ.გიორგობიანი

გ.ბაღაშვილი

დ.მანჯგალაძე

ლ.ცინცაძე



ჯინო ფერედას თბილისი	8.01.2014
მისამართი: ქ. თბილისი, ტბილისის ზღვის მიმდებარედ	მასშტაბი: 1:5,000